კობა ცხაკაია

"THE SENSE"

(ერთაქტიანი დუეტი)

"დედამთილი" – ორმოცდაათამდე წლის ქალი. მახიობია. სახეზე აქვს თეთრი გრიმის ნიღაბი.

"რძალი" – ოცდაათამდე წლის ქალი. მსახიობია. სახეზე აქვს თეთრი გრიმის ნიღაბი, შეწითლებული ლოყებით.

მოქმედება მომდინარეობს დიდ ცარიელ ოთახში, რომლის შუაგულში დგას ასაწყობი საწოლი. საწოლი ძველებურია. მას რკინის ან სპილენძის საზურგეები აქვს, ხოლო ის რაზეც უნდა დაიდოს ლეიბი, წარმოადგენს დიდ და ფართე ფიცარს, რომლის გვერდების ჩუქურთმებითა და ორნამენტებითაა დამშვენებული. ფიცარი მიყუდებულია კედელთან, მასთან დგანან დედამთილი და რძალი. ისინი ფიცარზე გაკეთებულ წარწერებს კითხულობენ. საწოლის საზურგეები დაშლილია. მთელი სცენის მანძილზე ეს ორი ქალი ნელ-ნელა აწყობს საწოლს. პარალელურად საუბრობენ და იმეორებენ იმ როლებს, რომლის რეპეტიციაზეც სალამოს უნდა წავიდნენ.

დედამთილი – (კითხულობს) რომ ვცადო შენთან ლაპარაკი, ვაი თუ დამიმძიმდეს სატკივარი, მაგრამ ვის ძალუძს დადუმება!

რძალი – განა რძესავით არ გადმომღვარე და ყველივით არ შემადედე... ტყავითა და ხორცით შემმოსე, ძვლებითა და ძარღვებით მომქსოვე!

დ – (კითხულობს) განა ყური არ განიცდის სიტყვას და სასა არ გრძნობს საჭმლის გემოს?... სადღაც წამიკითხავს ეს სიტყვები... მაგრამ ვერ ვიხსენებ სად!

რ – (კითხულობს) რა სარგებლობა იქნება ჩემს სისხლში, როდესაც საფლავში ჩავალ? განა მტვერი შეგასხამს ხოტბას?... განა შენს ჭეშმარიტებას განაცხადებს? შექსპირს წააგავს!

დ – (კითხულობს) ამაოება ამაოებაა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებაა, ყოველივე ამაოა! მართლა თეატრიდან მოიტანე ეს საწოლი?

რ – ჰო... იმ სპექტაკლისთვის უნდოდათ, მე და შენ რომ უნდა ვითამაშოთ, მერე გადაიფიქრეს და გვაჩუქეს!... აი კიდევ! (კითხულობს) კიდევ და კიდევ განვიცადე ამაოება ამ მზის ქვეშეთში!

დ – (კითხლობს) ვეტყვი ღმერთს: ნუ დამადანაშაულებ! მაცოდინე რისთვის მედავები?... ნეტა რამდენმა ადამიანმა დაწერა ეს ყველაფერი!... ხედავ, სულ სხვადასხვა ხელითაა დაწერილი!

რ – აი კიდევ – ყველაფერი იწყება და მთავრდება სარეცლით!... ალბათ რეპლიკებია როლებიდან!

დ – მართლა გაჩუქეს ეს საწოლი!

რ – მართლა მაჩუქეს?... არა, ტყუილა მაჩუქეს! არ მოგწონს?... ხომ ჯობია იმ ძველ საწოლს... აქ ორივე კარგად დავეტევით!... დიდი კია, მაგრამ არც იმხელა ადგილს იკავებს!...

დ – ამ სიმძიმე მარტომ როგორ ამოიტანე?

რ – საყვარლები დამეხმარნენ!... რა ეჭვიანი ხარ!... აი გავაკეთებ, ცოტას მივაჭედ-მოვაჭედებ! ჩავხრახნ-ჩამოვხრახნი და მერე ვნახოთ! როგორ აჭიკჭიკდები!... ადგომაც კი აღარ მოგინდება! სულ იწვები და იწვები!

დ – შენ სულ მაგაზე ფიქრობ!

რ – (ირონიულად) ჰო, იცი, როგორ მინდა, რომ ჩაძაღლდე!...

დ – ესე ნუ განიცდი, ეგეთი აზრები მეც მომდის თავში!... (ამოისუნთქავს) თან საქმე!... საღამოს რეპეტიციისთვის თითქმის ზეპირად უნდა ვიცოდეთ როლები. შენ რძალი ხარ, მე, დედამთილი!

სიჩუმეა. ორივე იღებენ ჯიბეებიდან როლებს... აქედან იწყება – მათ შორის საუბარი, პარარელურად როლის კითხვა და საწოლის აწყობა. თუ რა იქნება როლის ტექსტი, რა "ნამდვილი", ძირეული მნიშვნელობა არა აქვს, აქ მთავარია ის, რომ მსახიობები ერთმანეთის ურთიერთობის ფონზე "პერსონაჟებსაც" თამაშობენ)

რ – (კითხულობს) სიჩუმე ეს ის ტყუილია, რომელიც ამბობს სიმართლეს!... უკვე ხუთი წელია, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთ. გახსოვს, ის დღე, აქ პირველად რომ მომიყვანეს?

დ – (კითხულობს) არ მახსოვს!

რ – მაგითი რისი თქმა გინდა?

დ – არაფრის!

რ – ლაპარაკები, ლაპარაკები, ლაპარაკები!

დ – შენ მაგითი რისი თქმა გინდა?

რ – ყველა ადამიანი მაიმუნისაგან გაჩნდა, ოღონდ ზოგი ძალიან ადრე, ზოგი კი მხოლოდ ეხლახან!

დ – (იხედება როლში) შენთან ლაპარაკიც კი "პახაბნი" გახდა!

რ – ლაპარაკის დრო არ არის ახლა!... ჩვენთვის სარეცელი უნდა მოვამზადოთ. მეფური სარეცელი!

დ – დიდ საწოლს დიდი პრობლემები მოაქვს! მე არ მოგეხმარები!

რ – ძალიანაც კარგი!

დ – ძალიანაც კარგი!

რ – გმადლობთ, ძვირფასო!

დ – არაფრის, გეთაყვა!

რ – ხი-ხი!

დ – ხა-ხა!

"რძალი" საწოლის აწყობას. "დედამთილი" შორიახლოს დადის და როლს კითხულობს.

რ – ეეჰ!... მუშაობა არ გინდა, წყალი მაინც დამალევინე! მწყურია!

დ – მეც მწყურია!... თანაც მცხელა!

რ – მცხელა, მეც!

დედამთილი გადის, შემოდის დოქით.

დ – ჰო, მართლა! გუშინ კოფთა რომ გეცვა, სად იყიდე?...

რძალს საზურგის დაჭერის დროს ხელი ეტკინება.

რ – გაგიხმეს ენა!... ოო, ბოდიში (იხედება როლში) თავიდან დაიწყე!...

დ – ყურადღებით იყავი!... (იმეორებს) ჰო, მართლა! გუშინ, კოფთა რომ გეცვა, სად იყიდე?...

რ – მოგეწონა?

დ – ძალიან მომეწონა! გიხდებოდა... საოცრად!

რ – მართლა? დამცინი?!

დ – დედას გეფიცები, ძალიამ მომეწონა!... ისიც კი გავიფიქრე, არასოდეს კარგი გემოვნება არ ჰქონია და ახლა საიდან აღმოაჩნდა მეთქი!

რ – იცი, რას გეტყვი?... საშუალება რომ მქონდეს, აქ შენს გვერდით ერთ წამსაც კი არ გავჩერდებოდი. ერთი წამის მემილიარდედ წამუკასაც კი!

დ – საშუალება რომ მქონდეს, საერთოდ არ გავჩნდებოდი!

რ – დედა, რა ტრაგიკული ხარ?!

დ – ტრაგიკულიცა ხარ და შენი უნიჭო... ვატირე!...

რ – გაგიხმეს ენა!

დ – ნუ იწყევლები!... როცა ვმუშაობთ, ვიმუშაოთ. თუ არ გინდოდა ეს როლი, თავიდანვე უნდა გეთქვა უარი!

რ – მინდოდა!... მინდოდა!... მინდოდა!... ოღონდ ნუ უზრდელობ! ნუ იგინები!

დ – ვიგინები, თორემ პირველად გესმის!

რ – დიახაც პირველად მესმის!

დ – ეს ცხოვრება სამობითაა! თუ მუშაობა გინდა, იმუშავე, თორემ ისეთს შეგაშინებ, ისეთს... დედა-შვილს არ აიყვანს ხელში!...

რ – იგინე, იგინე... კაი ჩიტსაც დაიჭერ! საწოლიც ვაწყო, როლებიც ვუკითხო!... ფიგარო ხომ არ გგონივარ?

დ – კარგი, ბატონო, მევ მოგეხმარები!

იწყებენ ერთად საწოლის აწყობას.

რ – (კითხულობს) ჩემი ნება რომ იყოს... ჩინელივით გაგატყავებდი!... ისინი ნელ-ნელა ატყავებენ ადამიანს, ისე ნელა, რომ არ აძლევენ ტკივილებისაგან გონების დაკარგვის საშუალებას!... თანაც ბოძზე აბამენ!... მეც ბოძზე მიგაბამდი!

დ – ბოძზე რატომ?

რ – არსად რომ არ გამექცე!

დ – (თავისთვის) ჩინელებმა ჩინეთდან ჩაი ჩამოიტანეს!... ჩინელებმა ჩინეთიდან ჩაი ჩამოიტანეს! (ერკვევა) უკაცრავად, კრეტინი ვარ!

რ – ეგეთი რეპლიკა აქ საერთოდ არ არსებობს... თუ გინდა ჩავამატებ!... მართლა, რა კრეტინი ხარ!

დ – ცოტა ფრთხილად!

რ – შენ თვითონ არ თქვი, მე მხოლოდ გავიმეორე!

დ – მე რომ ვამბობ, სხვანაირად ჟღერს... შენ რომ ამბობ, სხვანაირად!

რ – (იცინის) გინდა, მოგიყვები... მხიარულ ისტორიას?

დ – მინდა!

რ – (მღერის) ცოცხალი ვარ, ცოცხალი, სანთელივით ვიწვები... დავდნები და ... ცრემლად გადაგეღვრები!

დ – ძალიან მხიარული ისტორიაა! ღმერთო ჩემო, როგორ მშია!

რ – შემწვარი გოჭი გინდა თუ ბაჟეში ჩაწყობილი ინდაური!... სოკოს ხომ არ მიირთმევდით ერბოში ჩაშუშულს!... იქნებ ცეცხლი და ბაბაასი გნებავთ?

დ – არ მნებავს!... ეხლა სიამოვნებით შევჭამდი მარწყვის ტორტს და დავაყოლებდი ერთ ფინჯან ყავას!... ოღონდ ტორტი ჩემი გაკეთებული უნდა იყოს!... ისეთი მარწყვის ტორტს ვაკეთებ, ისეთს?!

რ –მეც მინდა!... ოღონდ მაგ მენიუს, ნაყინს დავამატებდი და... ერთ ბოთლ შამპანიურსაც!

დ – აი, ახლა საშუალება რომ გქონდეს, ყველაზე მეტად რას აისრულებდი... რას გააკეთებდი?

რ – (იცინის) ვერ გეტყვი! მრცხვენია!

დ – ოი, ღმერთო ჩემო... მე ხომ მაგას არ გეკითხები... საჭმელზე გეკითხები!...

პაუზაა. ისინი ერთმანეთს უყურებენ.

რ – (კითხულობს) რიტუალი მენატრება!... როცა სახლში ხარ და ელოდები, ის კი აგვიანებს... მერე მოდის, დაღლილ-დაქანცული! ფეხსაცმელებს იხდის და ყრის!... მე ვეჩხუბები. ყურადღებას არ მაქცევს. ჭამა-ჭამით ჯდება ტელევიზორთან, ყრის ნამცეცებს! ვეჩხუბები, ვეჩხუბები, ვეჩხუბები!... ის წვება ტახტზე, ჭმუჭნის ახალდაუთოებულ გადასაფარებელს, ეწევა სიგარეტს. ყრის ფერფლს... მე ვეჩხუბები, ვეჩხუბები და... ბოლოს - მაგინებს! (იცინის). ღმერთო ჩემო, რა ტკბილად მაგინებს... ვბრაზდები, ვტირივარ, მივრბივარ საწოლ ოთახში და ვწვები... ის ცოტა ხანს ტელევიზორთან ბუზღუნებს, მერე შემოდის ჩემთან და მიყურებს... მე ზურგს ვაქცევ და ვსლუკუნებ!... ის ამოიოხრებს. ნელ-ნელა იხდის და წვება!... ვოხრავ, ის კი ფრთხილად მეხვევა. ისეთი უხეში და მძიმე ხელები აქვს... მიწასავით უხეში. მაგრამ ისეთი თბილი. ტირილი მინდა და მიხარია!... როგორ მენატრება, ღმერთო ჩემო! როგორ მენატრება ეს დამპალი, დამპალი რიტუალი... როგორ მენატრება.

სიჩუმეა. "დედამთილი" ტაშს უკრავს. "რძალი" მადლობის ნიშნად ულიმის.

დ – კარგია!... ოღონდ ტკივილს გარეთ ნუ გამოიტან!... შენი ტკივილი სინზე დადებული არ უნდა იყოს... ფარული, იდუმალი, ჩუმი და ღრმა უნდა იყოს!... "ტი მენია პონალა!"

რ – (ღიღინებს) ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე, რომ მითხარი მოვალო, ჭირიმე, რატომ დაიგვიანე!... გახსოვს, ეს სიმღერა!

დ – მახსოვს! (კითხულობს) ყველაფრის მიუხედავად ტყვია უკეთესი ხვედრია!... უკეთესია, ვიდრე სხვა რამ!

რ – (ყვირის) გეყოფა!... გვაქვს ახალი საწოლი და ვიწყებთ ახალ ცხოვრებას!

დ – ჯერ ძველი არ დაგვიმთავრებია!

რ – (მღერის) რომ მითხარი, მოვალო, ჭირიმე, რატომ დაიგვიანე! (შეხედავს "დედამთილს". დიდხანს უყურებს). "ხლაპუშკასავით" გავარდა და გაქრა! გათავდა, გააზრებაც კი ვერ მოვასწარით!... თუმცა ყველაფერი ყოველთვის უეცრად მთავრდება!... ჩვენც გავთავდით!

დ – ხანდახან ნაბიჯების ხმა მესმის... ასე მგონია, ეს ნაბიჯები ფარული სევდაა მეთქი!

რ – არ უნდა გესმოდეს... არ უნდა გრძნობდე... არ უნდა ხვდებოდე!

დ – (კითხულობს) ექოს სიჩუმე გაურყვნია ჩვენი სიტყვებით...

რ – (კითხულობს) მე ვარ მონაპოვარი... მონაცა და პოვარიც! ბოლოს და ბოლოს მომეხმარები, თუ არა?

დ – (კითხულობს) ნეტა სიკვდილი თუ ქვრივდება, როცა ჩვენ ვკვდებით?

რ – ისევ შენთვის დუდღუნებ! მომეხმარე!

დ – (კითხულობს) გრძნობები ენის წვერზე იღუპებიან!... ქვრივთა დუმილი იწყება მაშინ...

რ – ქვრივთა დუმილი?!... რამდენჯერ უნდა გითხრა, ამ სიტყვებს ნუ ახსენებ-მეთქი!

დ – როცა ცა, ოჯახის ზღურბლთან თავს ჩაომოიხრჩობს!... ცხოვრებისგან გათელილები თუ ვეღარ ვდგებით! დავჭრათ ჰაერი!

რ – დავჭრათ ჰაერი?

დ – დავჭრათ ჰაერი! ჭრილობებიდან ატკიებული სული გამოვა!

ცოტახანს გაუნძრევლად და ჩუმად არიან, ორივე თავის ფიქრში ჩაღრმავებული.

რ – ხელზე ძარღვი ამითამაშდა!

დ – (თავისთვის) ხელზე ძარღვი ამითამაშდა!... დავჭრათ ჰაერი! (ერკვევა) რა თქვი?

რ – არაფერი ისეთი... ხელზე დავიხედე და გავიფიქრე, ნეტა რამე მოხდეს მეთქი და... ძარღვი ამითამაშდა! გულივით დაიწყო ფეთქვა!

დ – მერე?

რ – არაფერი!... არ ველოდი!... სასაცილოა არა!

დ – (კითხულობს) დავიღალე, რა ვქნა, აღარ ვიცი... და-ვი-ღა-ლე!

რ – შენ მაინც რამ დაგღალა?

დ – შენმა ყურებამ დამღალა!

რ – (იცინის) ძალიან კარგი, დახუჭე თვალები.

დ – რატომ?

რ – დახუჭე-დახუჭე!

დ – აჰა, დავხუჭე, მერე?

რ – ათამდე დაითვალე!

დ – ნელა თუ ჩქარა?

რ – ძალიან ნელა!

დ – ეერთიი, ოორრრიიი...

რ – ძალიან კარგი!

დ – სსაამიი, ოოთხიიი, ხხხუუთიი...

რ – ნუ აჩქარდები!

დ – შშვიიდიი, რვა�ა, ცხრააა, აათიიი!

რ – არ გაახილო თვალები!... ახლა ისევ დათვალე, ოღონდ უხმოდ! გუნებაში!...

დ – დავთვალე! (პათეტიკურად) რა ვქნა? რა ვიღონო?... რით დავეხმარო საკუთარ თავს?

რ – გაახილე თვალები!

დ – აჰა, გავახილე!

რ – მიიხედ-მოიხედე!

დ – მივიხედ-მოვიხედე!

რ – მერე?

დ – რა მერე?

რ – რა გააკეთე ახლა?

დ – აბა, მე რა ვიცი!... დათვალეო - დავთვალე! გაახილე თვალებიო და გავახილე! ეხლა რა ვქნა!

რ – (იცინის) ჩვენ ერთმანეთისთვის დემონებიცა ვართ და ანგელოზებიც!... ვერაფერს ხედავ ახალს?

დ – თმები გაქვს აჩეჩილი!

რ – მართლა?... მათხოვე სავარცხელი!

დ – არა მაქვს!

რ – რა გაეწყობა, ჩემით დავივარცხნი! (ხელით აკეთებს სავარცხელს და თმას ივარცხნის).

დ – იცი, ყველაზე მეტად რა მიშლის ნერვებს?

რ – რაა?

დ – მე თვითონ არ ვიცი! (იცინის) მე მგონი ვბერდები!

რ – ძალიან გეჩქარება საიქიოში?

"რძალი" ეჭყანება.

დ – იცი, როცა შენ დგახარ და მე ვზივარ... ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს!

რ – გინდა გითხრა რაღაც საიდუმლო?

დ – მინდა!

რ – მოიწიე ახლოს!

"დედამთილი" მოიწევს, "რძალი" კოცნის.

დ – შენ არანორმალური ხარ!

რ – შეიძლება, მაგრამ არანორმალურებსაც შეუძლიათ სიყვარული!... (მღერის და თმას ივარცხნის) ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე!

დ – აღარ მინდა მაგ სიმღერის გაგონება!

რ – ადამიანის თმაში სულიერი ძალაა ჩამალული!... ცამეტი წლის როცა ვიყავი, ძალიან მომწონდა თმის ასე ვარცხნა!

დ – მანამდე არა?

რ – მანამდე ბავშვი ვიყავი!

დ – შენ არასოდეს ყოფილხარ ბავშვი!

რ – ნუ ჭმუნავ ტაკოს... ნაოჭები გაგიჩნდება!

დ – მიდი, შენს საქმეს მიხედე!

რ – (პათეტურად) მე წავალ ჩემს საქმეს მივხედავ, მაგრამ ყოველთვის მემახსოვრება ჩემი ვალი!

აგრძელებს საწოლის აწყობას. "დედამთილი" ჩაიხედავს როლში.

დ – (ამთქნარებს) მეძინება!

რ – რატომ ადექი ასე ადრე!

დ – ჩემს ასაკში ადრე თუ არ ადექი... ეგრეევე ცხვირზე მოგადებენ სარკეს, მოკვდა თუ არაო!

რ – შენ მარტო მაგის გამო დგები, ცოცხალი რომ არ დაგმარხონ?

დ – ხანდახან მგონია, რო ტყვიაგაუმტარი შუბლი გაქვს! (იცინის)

რ – რაზე გაგეცინა?

დ – ერთხელ ჩემს ქმარს ვკითხე - შენთვის სიყვარული რა არის მეთქი?... იმან იცი რა მიპასუხა - არ ვიცი, რა გითხრა, ჩემი მეუღლისათვის არასოდეს მიღალატიაო!

რ – ეთქვა იმ მამაცხონებულს რაიმე ნორმალური, ხომ იქნებოდი ახლა ბედნიერი!... ისე, რომ იცოდე... ჩვენ ჩვენი გულები მხოლოდ იმათ უნდა ვანდოთ, ვინც გაუფრთხილდება!

დ – ჰოო! (ჩაფიქრდება) ბოროტები ვართ!... ყველანი ბოროტები ვართ... მაგრამ გაიძვერები მაინც არა ვართ!... გვაქვს უფლება რომ ვიყოთ ბოროტები და ვართ... იმიტომ ვართ, რომ გვაქვს უფლება!

რ – ყველასა აქვს უფლება დროდადრო გაგიჟდეს... ამას ცხოვრებაც კი მოითხოვს!

დ – გაგიჟდეს-გაგიჟდეს!... იცი, რა მაინტერესებს, რომ გთხოვო ფანჯრიდან გადახტი მეთქი, გადახტები?

პაუზაა. ისინი ერთმანეთს უყურებენ.

რ – კი!... შენ მთხოვ ამას?

დ – არა!

რ – “არა” თუ არ იცი?

დ – არა ვიცი! (გაიცინებს. კითხულობს როლს) თუკი არ იცი, საით მიდიხარ, იქ ყველა გზა მიგიყვანს!

რ – (დაცინვით) მოიხურე რაიმე, თორემ შეგცი-შეგცი-შეგეცივდება!

დ – ნუ უზრდელობ!

(იყურებიან როლებში, შემდეგ ერთმანეთს შეხედავენ).

რ – არ შეგიძლია, ცოტა ხანს მარტო დამტოვო?

დ – შენ ისედაც მარტო ხარ!

რ – არ შეგიძლია, ერთხელ მაინც არ გამცე პასუხი!... არ შეგიძლია, ცოტა ხანს მაინც დამუნჯდე, დაყრუვდე... ჩაკვდე, ჩაკვდე, ჩაკვდე?

დ – (ირონიულად) როგორ ხმამაღალი ხარ!

რ – რაც უფრო მეტი ჩაიდანია, მით უფრო მეტი ჩაი იქნება!

დ – მეზიზღები, ვერ გიტან! ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა ყოველდღე ერთი და იგივე! მე-შენ, შენ-მე! ჩვენ-თქვენ! თქვენ-ჩვენ!... როგორ დაემგვანა ეს ცხოვრება გაკეთებულ ერთიდაიგივეობას... რაღაც სხვა მინდა! სხვა!... ხანდახან მონდა, რომ შენ აღარ არსებობდე... არც შენი ქმარი მინდა!

რ – არც შენი შვილი!... შენი შვილი, ჩემი ქმარია, ხომ არ დაგავიწყვა!... აქამდე იყო, ყოველშემთხვევისათვის? (თავისთვის) როლის მიხედვით?

დ – მერე რა!... მერე რა!... ასი წლის მერე ეგ არავის ემახსოვრება!... ხანდახან მინდა, რომ... ნიანგმა მიკბინოს... ან მონდა, ჩემი ფანჯრების გასწვრივ ღრუბლები გამოჩნდეს... რაღაც ისეთი მინდა, რაც არ მომხდარა, და არ მოხდება... აღარ შემიძლია იმის ატანა - რაცაა მოსალოდნელი, უცრად ხდება!... რატომ არ შეიძლება, ამ ცხოვრებაში, ხანდახან მოულოდნელობებიც ხდებოდეს!

რ – საიქიოში ხომ არ გეჩქარება?

დ – ავადა ვართ ყველა! ავად!

რ – შენ რა გჭირს საწუწუნო?

დ – არ ვწუწუნებ! არა... სიცოცხლე მინდა და არა დარჩენილი დროის თვლა!

რ – (პათეტურად) სიცოცხლე - სიყვარულის სეტარი შხამი!

დ – ეგრე ნუ ამბობ!... გეზიზღები, იმიტომ რომ ტირილი არ შემიძლია?!... ზოგს სიცილი არ შეუძლია, ზოგს სიკეთის კეთება, ზოგს დადუმება... მე ტირილი არ შემიძლია!

რ – (პათეტურად) სიცოცხლევ - შენ შეგიძლია ყველაფერი მიქნა, მაგრამ მე ტკივილს მაინც არ დაგიძახებ!

დ – მორჩი ამ ტაკიმასხარაობას!... თუმცა მოვა დრო და შენ დადგები ჩემს ადგილას!... (თავისთვის) შენც შეასრულებ ამ როლს და მერე ვნახოთ როგორ აჟღურტულდები!

რ – დროის წებოვანი თითები!... (ირონიულად) ახლა თუ გეშინიათ რაიმესი?

დ – მე ვიცი შენ რა ნაკლი გაქვს?

რ – რა ნაკლი მაქვს? დედა, როგორ მაინტერესებს!

დ – შენ ქვისა ხარ!

რ – ხანდახან ასე მგონია, რომ ორივეს მაგივრად ლაპარაკობ!

(ისინი დაძაბული უყურებენ ერთმანეთს. რაღაც მომენტში ენერგიულად გადაშლიან როლის თითო გვერდს. იწყებენ კითხვას.)

დ – არ არსებობს დღე, რომ არ ვიჩხუბოთ!

რ – იმიტომ ვჩხუბობთ, რომ არასოდეს ვართ კარგად!

დ – იქნება ეგეც ჩემი ბრალია!... მითხარი, მე რაში ვარ დამნაშავე?... ან შენ რა შუაში ხარ?

რ – შენ არ იცი, მე ვინა ვარ!... ვერასოდეს მიხვდები ამას!... ჩვენს შორის დარჩენილი სიცარიელე არაფრით არ ამოივსება! არაფრით!

დ – სიცარიელე!... რა არის სიცარიელე, არაფერი! (დგამს რძლისკენ ნაბიჯს) ხომ შეიძლება ერთმანეთისაკენ თითო ნაბიჯი გადავდგათ და სიცარიელეც გაქრება!

რ – მე და შენ არ გაგვიჩენია ეს სიცარიელე და არც არავინ გვკითხავს მის შევსებას!

დ – ამაზრზენი ხარ!

რ – (იცინის) ადვილია ცხოვრება, მაგ სიტყვების შემდეგ, არა? ადვილია, ხომ!... ხომ იპოვე, შენი უბედურების მთავარი მიზეზი! დამნაშავე ხომ აღმოაჩინე! ახლა როგორ გრძნობ თავს, ჰა?

დ – (იღიმება) ვკვდები!... არ მინდა ამ როლის თამაში!... აღარ მინდა როლების თამაში!...

რ – მეც ეგრე ვარ! ესე როლი რა როლია, როლზე გადანამორია! ესე როლი რა როლია, ლორზე გადანამორია! ესე როლი რა როლია, ღორზე გადანამორია!... (ყვირის) ეს მახინჯი ტკივილი!,, ეს მახინჯი ტკივილი!

დ – რა თქვი?

რ – (ხმამაღლა, პათეტურად) ღმერთო, მიხსენი სულიერი ტკივილისაგან, მე კი როგორმე გავუმკლავდები ფიზიკურს!... ახლა კი აი ამ ლურსმანს ჩავაჭედებ აი ამ ფიცარში და... ჩვენი ცხოვრებაც ოდნავ შეიცვლება!

"დედამთილი" უყურებს, რძალი როგორ აჭედებს ლურსმანს. სიჩუმეა.

დ – მოდი, ნუღარ ვიზამთ იმას, რომ ერთმანეთი გვძულდეს!

რ – ესე იგი, თქვენ გინდათ, იცხოვროთ ნორმალური ცხოვრებით, არა?

დ – ნორმალური ცხოვრება არ არსებობს... არსებობს ცხოვრება, რომლითაც ვცხოვრობთ!...

რ – ხანდახან მაიც თუ იყავი ბედნიერი?

დ – ბედნიერი ვიყავი, როცა... შვილი შემეძინა! როცა ჩემმა შვილმა ცოლი მოიყვანა!

რ – ბლა-ბლა-ბლა!... მორჩი, გეყოფა... ინტერვიუს ხომ არ ვიღებ?

დ – ვლაპარაკობ იმას, რასაც ვფიქრობ!... ყველა შენნაირი ხომ არ იქნება!

რ – გავძეხი!... უკვე გავძეხი ლაპარაკით!

დ – კარგი! (ჩაფიქრდება) ბედნიერი ვუყავი, მაშინ როცა არ ვიყავი მოწყენილი!... კმაყოფილი ხარ!

"რძალი" ტაშს უკრავს.

რ – ხანდახან ისეთი რამის გაკეთება მინდა, რაც ადამიანს სართოდ არ გაუკეთებია! შენ არ გინდა?

დ – ყველას გვინდა რაღაც ძნელის... უცხო ხილის გასინჯვა!

რ – მაგალითად ბანანის!...

დ – ყველაფერი კარგად იქნება!... ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის... ფუჭად ხომ მაინც არ ჩაივლის!... ყველაფერი კარგად იქნება!

რ – რატომ ტყუიხარ! შენ გგონია რაიმესი მეშინია?

დ – არა! არ მგონია!

რ – არ მინდა ვიყო რაღაც "ისტორია",... რაღაც "ამბავი", მარტოდ დარჩენილი ქალის შესახებ!... არ მინდა ვიყო რაღაც "როლი"! მინდა ვიყო ცოცხალი ადამიანი! მინდა ველოდე რაღაცას... ვი-ღა-ცას... თუნდაც მთხლეს... ოღონდ მოვიდეს! ოღონდ დაბრუნდეს! გაიგე!... ქალი მინდა ვიყო! ცოცხალი!

დ – (კითხულობს) ქორწინება წყდება ცაში, საწოლებს კი მიწაზე აკეთებენ, არა!

რ – (იცინის) დიახაც მინდა!... მინდა! რა სხვას არ უნდა, თუ მე ვარ ასეთი უნიკალური!... ქალი ვარ და იმიტომ მინდა!... დავდევდი ჩემს კუდს მთელი ცხოვრება და ვიყავი ასე!... იცი, ოჯახიც კი სპარსული სიტყვაა!

დ – რა გინდა რა?... ვინმემ რომ მოგისმინოს, რაღაც საშინელება შეიძლება გაიფიქროს! არ გრცხვენია?

რ – შენი? არა? შენ მაინც უნდა გითხრა ის... რაც შენმა შვილმა ჩაიდინა!

დ – რა ჩაიდინა?

რ – რა და... აღარ დაბრუნდა! სად არის... სად არის?... სად?... იქნება (ჰაერს უბერავს) ფუუჰ!

დ – ხანდახან გიყურებ და ასე მგონია, რომ სულში... რაღაც დიდი ხვრელი გაგიჩნდა... ხვრელი, რომლის ამოვსება არ შეგიძლია... ვერც ავსებ ვერაფრით, იმიტომ რომ უძირო ხარ! უძირო!

რ – (იცინის) შენ რა, არა გაქვს ეგეთი ხვრელი?!

დ – გაჩუმდი!

რ – რატომ?!...

დ – გაჩუმდი შე... უზრდელო! ნაძირალავ!... ჩათლახო!

რ – (იცინის) რაღა მაინცდამაინც "ის" უნდა იფიქრო! "კაჟდი პონემაეტ ვმერუ სვოეი ისპორჩენოსტი!"

დ – ხმა! ხმა! ხმა!

რ – (ყვირის) ააა!

“რძალი” აყვირდება დიდხანს ძალიან დიდხანს. “დედამთილი” უყურებს. შემდეგ ორივე უხმოდ უბრუნდება საწოლის კეთებას.

რ – თუკი არსებობს ღმერთი, ის მარტო შენში, ჩემში ან ჩვენში კი არ უნდა იყოს... ის იმ სიცარიელეშიც უნდა იყოს, რომელიც ჩვენს შორის არის!... ყველაფერს რასაც ვაკეთებთ ცხოვრებაში, განა მხოლოდ იმისათვის არ ვაკეთებთ, რომ ცოტა დიდხანს და ცოტა უფრო მეტად ვუყვარდეთ?!... რაღაც მინდა გკითხო?

დ – არაფერი არ ვიცი და არც ვიცოდი!

რ – (ნაღვლიანად მღერის) რომ მითხარი მოვალო, ჭირიმე, რატომ დაიგვიანე?... შენი აზრით, რა განსხვავებაა, სიყვარულსა და სექსს შორის?

დ – არაფერი არ ვიცი და არც ვიცოდი!

რ – სადღაც წავიკითხე, რომ სექსი გვეხმარება წნევის დაწევაში, სიყვარული კი აწევაშიო! შენ როგორ ფიქრობ, სწორია ეს... ეს სიტყვები?

დ – იცი როგორი აუტანელი ხარ ხანდახან!

რ – მე მხოლოდ ხმამაღლა ვფიქრობ!... არ შეიძლება ხმამაღლა ფიქრი?... (თამაშობს) იყო დრო, როცა მეგონა, თუ ბროლის ქოშს ვიპოვიდი, აუცილებლად მომერგებოდა!... ნახევარი ცხოვრება გაიარე და ამდენს ვერ ხვდები, რომ...

დ – (აწყვეტინებს) შენ იცი რა არის ნახევარი ცხოვრება... იცი რა არის?... მე არ ვიცი, რა არის ნახევარი ცხოვრება...

რ – რომ გცოდნოდა, რას იზამდი?

დ – არაფერს. მეცოდინებოდა!

ჩუმად აკეთებენ საწოლს. რძალი ჩაიხედავს როლში.

რ – (კითხულობს) მილიარდი წლის წინათ ვარსკვლავები როცა აფეთქდნენ, გაჩნდა სამყარო, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ... ჩვენ ყველანი ვარსკვლავების მტვრისაგან ვართ მოზელილები!... ხანდახან მგონია, რომ მეც ვერსკვლავი ვარ და უნდა ავფეთქდე, რომ სამყარო გაჩნდეს. ჩემი ახალი სამყარო!

დ – ცოტა მეტი ხომ არ გინდა ამ ცხოვრებისაგან? იმაზე მეტი, ვიდრე გჭირდება?

რ – (იცინის) გინდა მხიარული ამბავი მოგიყვე?

დ – მინდა!

რ – (მღერის) ცოცხალი ვარ, ცოცხალი!...

დ – არ მინდა ეგ სიმღერა!

რ – (მღერის) ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე!

დ – გააწყალე რა გული! გააწყალე!

დ – ჰოი, გა-ვა-წაყ-ლე! წყალე! ვაწყალე! (ჩაფიქრდება) ერთი მისი თანა-მებრ-ძოლი შემხვდა... მკითხა, როგორ ხართო... ხომ ხედავ, კაბა მაცვია! შენ კი შარვალი მეთქი!... მერეო?... მერე ის, რომ მე რაც მაცვია, ისა ვარ, მაგრამ შენ რაც გაცვია, ის არა ხარ მეთქი!

დ – ენამწარობის ჩემპიონი ხარ!

რ – (თამაშობს) ჩემპიონობა შეიძლება დავკარგო, მაგრამ ექსჩემპიონობას არასოდეს დავკარგავ!... (ჩაფიქრდება) რა არის ის ცხოვრება, რომელშიც ყოველთვის ვიღაც გვაკლია?

დ – ცხოვრება დანაკლისებით იწონება!

რ – ღმერთო ჩემო, რა კრეტინი ხარ!

დ – ჰო, მე ყველაფერი ვარ!... შენ კი ბინძური ხარ, ენაბინძური!

რ – ჯობია ბინძური და კეთილი იყო, ვიდრე ლამაზი და ბოროტი!... (თამაშობს) დედამიწაზე ფრთები გვიშლის... ცაში კი ხელები!

“დედამთილი” წამოდგება.

დ – (თამაშობს) ვინ არ მჯდარა უნიტაზზე და ვის არ ნდომებია ვარსკვლავად გადაქცევა?... ვაიმე დედა! (წელზე იკიდებს ხელს)

რ – რა მოგვიდა!

დ – როცა დაბერდები, მიხვდები!

რ – რა დროს შენი დაბერებაა... ხელმეორედ უნდა გაგათხოვო!

დ – შენ თავს მიხედე!... თორემ გაგათხოვებ და გაგაჩუქებ კიდეც.

რ – მართლა?

დ – მართლა!

რ – ხომ იცი შენ ვინა ხარ?

დ – ვინა ვარ?

რ – ის ხარ, ვინც მარტო უნდა დარჩეს!... მარტოდ დარჩენილები დიდხანს ცოცხლობენ!

დ – ყვავმა ყვავს უთხრა... შე ყვავოო!

რ – (კითხულობს) როცა შენს თავსაც ქარვისფერი მტევნებით მოვრთავ!
როცა ტოტები დასკდება და მუქ ქერცლს აიყრის!
როცა სიტყვები დაელევა უტიფარ მგოსანს!
და როცა ბედი ატირებულ ფრთებით ჩაივლის
მიხვდები, ალბათ, რომ მეზღაპრე - ვისაც ელოდი!
სარკიდან გიცქერს გამაძღარი წმინდანის სახით!...
(თამაშობს) ...ვერ ამჩნევ, როგორ ვიცვლები?... ბუმბულს ვიცვლი... ნისკარტი უფრო მიზანდასახული და მკაცრი გამიხდა!... ფრთები ღონიერი და სწრაფი!... ახალი საწოლი, ახალი სამყაროს და ახალი ცივილიზაციის დასაწყისია!

დ – შენ ამას უძახი, ახალი ცივილიზაციის დაწყებას?

რ – რატომ?... ვაშლის შეჭმით თუ დაიწყო ჩვენი ცივილიზაცია! ახალი სარეცლის გაკეთებით რატომ არ უნდა დაიწყოს?... ის თუ არ დაიწყება... სხვა რამე მაინც ხომ უნდა დაიწყოს... (ჩაფიქრებული) სხვა რამ მაინც, მარტოობის გარდა, სხვა რამ!...

დ – (უყურებს) შენ არა ხარ საშიში, შენ სასაცილო ხარ! (იცინის)

რ – დადაა, როგორ გიხდება სიცილი!... როცა იცინი, მთელი სამყაროს, მთელი ცივილიზაცია იცინის შენთან ერად!...

დ – შეხედე შენს თავს... შეხედე, ადამიანს აღარ გევხარ!

რ – ადამიანი! ადამი-ანი!... ადამი - პირველი კაცი და ანი - პირველი ასო სა-მყა-რო-ში!

დ – ყველაფერი "ასომდე" დაგყავს!

რ – ან-ბან-გან-დონ!

დ – აღარ მინდა შენი გაგონება! (მღერის) ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე, რომ მითხარი მოვალო!...

რ – ეხლა შენ დაიწყე!

დ – რატომ დაიგვიანე! რა დავიწყე?

რ – სიმღერა!

დ – შენი ბრალია!... ამეკვიატება ახლა და მთელი დღე დეგენერატივით ვიმღერებ!... (იცინის) მომწონდეს მაინც...

რ – მაგ სიმღერამ გამაცნო შენი შვილი... (კითხულობს როლს) უფრო სწორად, მეგაფონიდან თაფლივით ტკბილი სიმღერა იღვრებოდა. "ზღელოდა ზალიან!"... მე მივდიოდი ნარნარ-ნარნარით იქითკენ და შენი შვილი მოდიოდა ტატ-ტატით აქეთკენ... რაღაც მომენტში დაგვიბნელდა მზე... გასკდა მიწა... ამოვარდა ქარიშხალი და... ჩვენ ერთმანეთს შევეჯახ-შევეჩეხეთ1 ასე დაიწყო პრელუდია ოპერისა "ლა მურრ"!

დ – (იცინის) ვაიმე დედა!

რ – რა იყო,"ზალიან ზაზაზილო" რამე მოვყევი?

დ – არა, შენზე არ მეცინება... გუშინ სადღაც გავიგონე ერთი სიმღერა (მღერის) "ფული გაქვს? -მაქვს! მაქვს!... თუ ფული გაქვს, შენი ვარ, თუ არა და სხვისი ვარ!"... ჰოდა ჩამეჭედა თავში ეს სისულელე. ვდგევარ გაჩერებაზე და ვმღერივარ. იქ ვიღაც, საკმაოდ სიმპათიური ინტელიგენტური შესახედაობის კაცი დგას... დავუდექი გვერდით... ვგრძნობ, რომ რაღაც ვერაა საქმე მთლად ისე,

როგორც უნდა იყოს... უცებ მომიბრუნდა და მეკითხება - რა გერბავთ?არაფერი, არაფერი მეთქი და ... მაშინ მივხვდი, რომ მთელი იქ დგომის მანძილზე ყურში ჩავღიღინებდი - "ფული გაქვს, ფული გაქვს?... თუ ფული გაქვს, შენი ვარ, თუ არა და სხვისი ვარ!"

რ – კიდევ კარგი ნახალოვკელ ტასოზე სიმღერა რომ არ გაგახსენდა, თორემ დავიღუპებოდით!... მერე რა მოხდა?

დ – არაფერი, წავიდა! ფეხით!

რ – სად წავიდა?

დ – ბანკში ფულის გამოსატანად!

იცინიან და თან საწოლის საზურგეებს აწყობენ.

რ – ცოტაც და საწოლიც მზად იქნება!

დ – მეც შემხვდა ერთი!... ქუჩაში შემხვდა... ორდენით მკერდზე! მაინც რაში მისცეს ეს ორდენი!

რ – კროსით რომ ჩამოვიდნენ თბილისამდე, იმაში!

დ – როგორ ხარო მკითხა! შენზე უკეთესად მეთქი!... თქვენ რა იცით მე როგორ ვარო?... მე ის ვიცი, რომ სახლში არავინ მელოდება და თვალებში ვერავინ ჩამხედავს... აქედან გამომდინარე, შენზე უკეთესად ვართქო!... ასე ნუ მელაპარაკებით, თორემ გამბრაზდებიო!... გაბრაზდები, თორემ ხახვი არ დააჭრა ყურებზეო... აქ კი არა, იქ უნდა გაბრაზებულიყავი და მაშინ ჩემზე უკეთესად იქნებოდი მეთქი!

რ – ბოროტები ვართ, მაგარი ბოროტები!

დ – არ გვინდა ვიყოთ, მაგრამ მაინც ვართ!

სიჩუმეა. უხმოდ აკეთებენ საქმეს.

რ – (იცინის) იცი, ჩვენს მეზობელს რა მოუვიდა... საპარიკმახეროში ჰყავდა ბავშვი წაყვანილი... გუშინწინ, ძალიან როცა ცხელოდა... ლამის ტვინი რომ ამიდუღდაო. მიუყვანია და პარიკმახერი ეკითხება (თამაშობს) რა გავუკეთო ამ ბავშვს, გენაცვალე, თქვენ რომ გასიამოვნოთ?... ამას უთქვამს - თუ შეიძლება მინეტი გაუკეთეთო! რა ბრძანეთ, გენაცვალე?... როგორი მინეტიც ამ ორი კვირის წინ გაუკეთეთ, ისეთი მინდა ახლაც რომ გაუკეთოთო... ესე იგი, საპარიკმახეროში ბუზებიც კი გაისუსნენ!... მერე უცებ ყველას ერთხმად აუტეხია ხარხარი... თურმე "ნანეტის" მაგივრად, "მინეტს" ეუბნებოდა!

(იცინიან. სიცილი ნელნელა სიჩუმეში გადადის).

დ – როცა სიჩუმეა, ისეთი სიცარიელეა ირგვლივ!... ადამიანიც კი შეიძლება დაუახლოვდეს სიცარიელეს!

რ – სანამ საომრად წავიდოდა, იცი, მითხრა - მე ჩემს ერს არ ვაყენებ ყველაზე მაღლაო, მაგრამ ის ყველაზე მეტად მიყვარსო. პირველით განვსხვავდები ფაშისტებისაგანო და მეორეთი კოსმოპოლიტებისაგანო... სად მიდიხარ, სად?... რომ არ წავიდე, მაშინ ომი თვითონ მოვაო არ წახვიდე მეთქი!... გაეცინა და მაკოცა... არა! არა! არა!... სამჯერ მაკოცა. (დედამთილს) იცი, არ მინდა ვიყო ბედნიერი... ვიყავი უკვე და ვიცი რა მწარეა ეს!... როცა მიწაზე დადიხარ და ცაში იყურები, ყოველთვის ეცემი! (იხედება როლში) ძალიან მაღალფარდოვანი ტექსტია, არა? უკეთესი იქნება, ყველაფერს მოკლედ თუ ვიტყვი... მხოლოდ ბოლო წინადადებებს გავიმეორებ და საკმარისი იქნება... (იმეორებს) იცი, არ მინდა ვიყო ბედნიერი... ვიყავი უკვა და ვიცი რა მწარეა ეს!... როცა მიწაზე დგახარ და ცაში იყურები, ყოველთვის ეცემი!

დ – (კითხულობს როლს) შენ რაღაცას არ მეუბნები!

რ – რაღაცას?... მე შენ არაფერს არ გეუბნები!

დ – რატომ?

რ – არ მახსოვს და იმიტომ!

დ – რატომ არ გახსოვს?

რ – იმიტომ, რომ არ უნდა მახსოვდეს!... გემს ერქვა "ტიტანი", შეყვარებულები მას მოფერებით "ტიტანიკს" ეძახდნენ!... ამ სახელწოდებით დარჩა ის ისტორიის ფურცლებზე და ქვრივების მეხსიერებაში!

დ – ქვრივთა დუმილი!

რ – ასე მგონია, ვერ მიტანო!... ჰო, ვერ გიტან, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარხარ მეთქი!... ბოლოს ჩამოსული როცა იყო, მაგრა ვიჩხუბეთ... იარაღებით იყო დახუნძლული, ასე ვუთხარი - შენ მანამდე

ხარ ვაჟკაცი, სანამ იარაღი გიკეთია მეთქი! - მე მანამდე ვარ ცოცხალი, სანამ იარაღი მიკავიაო!... გემოთი ეგ ყველაფერი ძალიან წააგავს შიშს მეთქი!... გეშინოდეს ეს ნორმალურიაო. რა გინდაო? მკითხა... არ წახვიდე! ჩემი ერთადერთი სურვილია, არ წახვიდე!... ჯოჯოხეთი ის კი არაა, როცა არც ერთი სურვილი არ გისრულდება, არამედ ის, როცა ყველაფერი გისრულდებაო!... მირჩევნია, ცოცხალი მთხლე იყო, ვიდრე მკვდარი გმირი მეთქი... მაინც წავიდა... ჰო, ბატონო! სანამ მაქვს თავი და კისერი უნდა დამაჯდეთ, აბა სხვანაირად არ შეიძლება!... ხომ შეიძლება, რაღაც მაინც ისე გაკეთდეს, როგორც მე მინდა!... თუმცა, ვიცი კი საერთოდ რა, როდის, ან რანაირად მინდა! (სიგარეტს უკიდებს) ასე რატომ ვართულებთ ყველაფერს?

დ — არ ვიცი!

ჩუმად არიან.

რ — ეს საწოლი შეავსებს ჩემს ცარიელ ცხოვრებას?!

დ — მე შენ... შენ კარგი ადამიანი ხარ!

რ — სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ყოველთვის ასეთი სენტიმენტალური ხდები?...

დ — რა გაიფიქრე პირველად, როცა გითხრეს, რომ დაიკარგაო...

რძალი იღებს იქვე დადებულ როლს და ეძებს რეპლიკას, ვერ პოულობს და გაბრაზებული ძირს აგდებს.

რ — ჯიბიდან ხომ არ გადმოგივარდათ მეთქი - ორმეტრიანი კაცი, როგორ დაკარგეთ, როგორ?

დ — იმათ რაო?

რ — ნახევარი საქართველო დავკარგეთო და რა გასაკვირიაო... მერე გაჩუმდნენ... იცი, რა გამახსენდა... ის დღე, პირველად როცა მითხრა, მიყვარხარო!... მე კი ვუთხარი - არ მიყვარხარ მეთქი! - ისე ვნანობ ეხლა ამ სიტყვებს! ნეტა მქონდეს საშუალება, რომ ეს პირველი შეცდომა გამოვასწორო!... იმიტომ რომ, თუ ეს გამოვასწორე, მაშინ ყველაფერი სხვანაირად დაიწყება... სხვანაირად იქნება... ხომ ამბობენ, კლეოპატრას ცხვირი ორი სანტიმეტრით გრძელი ან მოკლე რომ ჰქონოდაო, სამყარო სულ სხვანაირი იქნებოდაო!... გული მერევა!... გული მერევა, ყველაფერი როცა მახსენდება... ხანდახან მგონია, რომ ჩემი ბრალია, ის რომ აქ არ არის!

დ — (კითხულობს) დანაშაული რომ იგრძნო, ამისათვის სულაც არ არის საჭირო, დამნაშავე იყო!

რ — ისინი რატომ არ გრძნობენ, ისინი, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო?

დ — ისინი ღარიბი ცის ქვეყანაში ცხოვრობენ!

რ — როგორ გადააქცევ ყველაფერს ზღაპრად!... ერთი სიტყვისაც კი არ მჯერა!... არ მჯერა!... ფეხებზე მკიდია ყველაფერი!... მიმიფურთხებია მთელი თქვენი ცხოვრებისათვის! მთელი თქვენი ქვეყნისათვის!... მე ვიცი გზა, რომელსაც ცთუნებამდე მივყავარ! ცხოვრება მოკლეა, გემო კი ხანგრძლივი! (ხარხარებს)

დ — ჰოო! (მიდის და სილას აწნის) დაწყნარდი!

რ — (ჯდება საწოლის კუთხეში) სისხლი მომდის!... ძალიან მაგრად დამარტყი!... მეტკინა... იცი, ძალიან მეტკინა!

დ — არა უშავს, სისხლთან ერთად გამოდის ტკივილებიც!

რ — (ტირის) მართლა სისხლი მომდის! თავხედო, რატომ მატკინე!

დ — (ჯდება მის გვერდით) ირგვლივ ღარიბი ცის ქვეყანაა და იმიტომ!

(ისინი უხმოს სხედან).

რ — (იწმენდს სახეს) იცი, ჯერ ვიწყებ პერსონაჟის თამაშს... მერე ვგრძნობ, რომ მასაც ვთამაშობ და საკუთარ თავსაც, ბოლოს კი ვხვდები, რომ მარტო ჩემს თავს ვთამაშობ, ოღონდ თეატრალურ კოსტუმებში და დეკორაციებში!

დ — ღარიბი ცის ქვეყანა!

რ — (ამოიოხრებს) რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ყველაფერი!... როგორ მომბეზრდა!... გახსოვს, ერთხელ, შენ რომ კითხე, რამდენი შაქარი ჩაგიყარო ჭიქაშიო... როცა ჩემი ცოლია სახლში სამიო და როცა არაო, შვიდიო!... გახსოვს, რამდენი ვიცინეთ! რამდენი ვიცინეთ! რამდენი ვიცინეთ!

დ — სხვას რომ გაყოლოდი... შეიძლება უფრო ბედნიერი ყოფილიყავი!

რ — სხვასთან შეიძლება ვყოფილიყავი, მაგრამ მასთან ვიყავი!... მასთან ვარ!

დ — ნეტა ცოცხლები მაინც იყვნენ!

რ – რა კარგია ჩვენთან რომ გადმოხვედი... მარტო რომ არ დამტოვე!... თორემ შეიძლება გამეფრინა!... ყოველ დილით ორივესთვის ვასხამდი ჩაის! საჭმელს ორ თეფშზე ვიღებდი... სულ ვფიქრობდი, რომ გაიღებოდა კარები და შემოვიდოდა მშიერი, ოფლიანი, დაღლილი! და მეტყოდა... (ჩაფიქრდება) ღმერთო ჩემო, ნეტა რას მეტყოდა!... რომ არ მოსულიყავი მინასავით დავიმსხვრეოდი!... შენ მაინც არ მომატოვო!... არ დამტოვო!

დ – ნუ გეშინია! (კითხულობს) ჩვენ ყველაფერს გადავლახავთ... ყველგან გამარჯვებულები გამოვალთ! ყველაფერს დავიბრუნებთ, რაც დავკარგეთ!

რ – (კითხულობს) მიყვარხარ! ძალიან მიყვარხარ!...

დ – (კითხულობს) ვიცი, მეც ძალიან მიყვარხარ!

(ცოტა ხანს ჩახუტებულები არიან. მერე ორივე ყრის იატაკზე როლებს).

რ – ორივე დაიკარგა?... ორივეს დაგვეკარგა?

დ – ჰო!... ორივეს!... ტექსტიდან ვერ მივხვდი!...

რ – ვკარგავთ კაცებს, ვპოულობთ როლებს!... როცა საშინლად მარტო ხარ, რას აკეთებ?

დ – სული ყოველთვის დღესასწაულზე ოხრავს!

ცოტა ხანს ჩუმად არიან. "დედამთილი" იწყებს სიცილს.

რ – რაზე იცინი?

დ – არაფერზე!... მიხარია, რომ შენნაირი პარტნიორი და ახლობელი მყავს!... ეხლა წამოვწვებით ჩვენს მინდორზე და ავმღერდებით სირინოზებივით!

რ – მთელი ცხოვრება ვმღერივართ სირინოზებივით!

რ და დ - (მღერიან) ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე! რომ მითხარი მოვალო, ჭირიმე, რატომ დაიგვიანე!

ისინი ნელ-ნელა იცლიან სახეზე წასმულ გრიმს (ნიღაბს). მათ სიმღერაზე განათება ოდნავ რბილდება. უკანა ფონზე ჩნდება კაცის სილუეტი.

ფ ა რ დ ა